ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზია

ლიცენზიის მაძიებელმა ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს ზემოაღნიშნულთან ერთად დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) საწარმოო ობიექტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ინფორმაცია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
გ) ინფორმაცია მთლიანი შიდა საწარმოო პროცესებისათვის პასუხისმგებელი პირის შესახებ;
დ) მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დამუშავებული ტექნოლოგიური ინსტრუქცია;
ე) ინფორმაცია პროდუქციის უსაფრთხოების შიდა საწარმოო კონტროლის სისტემის შესახებ.

ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიის მისაღებად საჭიროა ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, რომელსაც „ერთი სარკმლის“ პრინციპით მოიპოვებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეების სამინისტრო. ამასთან, აღნიშნული დასკვნის წარმოდგენის უფლება აქვს უშუალოდ ლიცენზიის მაძიებელსაც.

ნორმატიული აქტები

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 სექტემბრის N165 დადგენილება „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/10444?publication=2